ოქმი N4

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2023 წლის 30 მარტი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 31 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 30 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს უთანასწორო ბრძოლაში და გამარჯვება უსურვა მათ. ასევე აღნიშნა, რომ 31 მარტი იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე და სთხოვა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ პირველი პრეზიდენტის ხსოვნისთვის.

დღის წესრიგი:

1. ,,ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე '' დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ.ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

6. „მშენებლობის შეჩერების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ.ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

9. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის
სამსახურის უფროსი)

10. „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N2 საჯარო სკოლისთვის სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე)

11. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ.ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - გამომსვლელი დაინტერესდა თუ რატომ არ იყო დღის წესრიგში შეტანილი მის მიერ წარმოდგენილი საკითხები?

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მის მიერ წარმოდგენილი საკითხები საკრებულოს კომისიებს ქონდათ განსახილველად და როგორც კი შესაბამისი პასუხები მომზადდებოდა მათი მხრიდან, ამის შემდგომ წარედგინებოდა საკრებულოს განსახილველად.

ლ. შამათავა - საკრებულოს აპარატის უფროსი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მ. იოსავას მიერ წარმოდგენილი საკითხები გადაეცა კომისიებს განსახილველად, რამოდენიმე კომისიის მიერ უკვე განხილულ იქნა წარმოდგენილი საკითხები, რამოდენიმე კომისიაში კი განხილვის პროცესში იყო და როგორც კი შესაბამისი პასუხები იქნებოდა კომისიების მხრიდან, აპარატის მიერ შეტანილი იქნებოდა დღის წესრიგში უახლოესი სხდომისთვის.

ლ. ჯობავა - მოქალაქე - გამომსვლელმა მიმართა სხდომის თავმჯდომარეს, რომ წინა წლებში საკრებულოს მიერ ქ, ხობში სტალინის და ბერიას ქუჩებს შეეცვალათ სახელები და მიენიჭათ გამსახურდიას და შარტავას სახელები, მას შემდეგ რამოდენიმე წელი გავიდა და მუნიციპალიტეტის მხრიდან დღემდე ვერ დამზადდა შესაბამისი ფირნიშები. ასევე მაწანწალა ძაღლების პრობლემა ვერა და ვერ იქნა მოგვარებული, ასევე ვერ მოგვარდა ქალაქში ურნების დამატების საკითხი. გამომსვლელის განცხადებით ის არსებული პრობლემების მოგვარებას დიდიხანია ითხოვდა და ამ დრომდე პრობლემა პრობლემად რჩებოდა.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ეტაპობრივად ყველა საკითხი დადებითად იქნებოდა გადაწყვეტილი.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგანაც საკრებულოს წევრი მ. იოსავა ითხოვდა მის მიერ წარმოდგენილი საკითხების დღევანდელი სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე. გამომდინარე აქედან კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, დამატებოდა თუ არა მ. იოსავას მიერ წარმოდგენილი საკითხები მიმდინარე სხდომის დღის წესრიგს.

კენჭი ეყარა წინადადებას მ. იოსავას მიერ წარმოდგენილი საკითხების დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 7, წინააღმდეგი – 22

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ქ. კვირიკაშვილი, ი. ზაქარაია)

დაადგინეს: მ. იოსავას მიერ წარმოდგენილი საკითხები არ დაემატოს საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის სხდომის დღის წესრიგს.

კენჭისყრის დასრულების შემდგომ პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვეს საკრებულოს წევრებმა მ. იოსავამ და მ. ხუხიამ.

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: ჯ. ჯიშკარიანი

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ქ. კვირიკაშვილი, მ. იოსავა, მ. ხუხია, ვ. ფოცხორაია, თ. ქირია, ი. ჯიშკარიანი, ი. ზაქარაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით რეგლამენტში ხორცილდება საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული იმ ცვლილებების ასახვა, რომელიც შეეხება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობას, საკრებულოს პირველ სხდომასთან დაკავშირებულ პროცედურებს და განსახილველ საკითხებს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების ვალდებულებას საკრებულოს კომისიებში გაწევრიანების თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ქ. კვირიკაშვილი, მ. იოსავა, მ. ხუხია, ვ. ფოცხორაია, თ. ქირია, ი. ჯიშკარიანი, ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N10 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს 28 თებერვლის სხდომაზე მიღებულ იქნა საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებები, სადაც რეალურად 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში იქნა შეტანილი ცვლილება, ხოლო დადგენილებაში ტექნიკური შეცდომის გამო „ვ“ ქვეპუნქტის ნაცვლად მითითებულია „გ“ ქვეპუნქტი, ზემო აღნიშნულის ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“. გამომსვლელის

განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ქ. კვირიკაშვილი, მ. იოსავა, მ. ხუხია, ვ. ფოცხორაია, თ. ქირია, ი. ჯიშკარიანი, ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N11 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვ

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შეიცვალა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებული რეგულაციები. ცვლილების თანახმად საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისია საკრებულოს წარუდგენს წინადადებას საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, ხოლო საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა ხდება შესაბამისი საარჩევნო

კომისიის მიერ საბოლოო შემაჯამებელი ოქმის შედეგების საფუძველზე. რის საფუძველზეც კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ქ. კვირიკაშვილი, მ. იოსავა, მ. ხუხია, ვ. ფოცხორაია, თ. ქირია, ი. ჯიშკარიანი, ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N12 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ

საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილებაში გათვალისწინებულია მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიცია გენდერულ საკითხებში. ამ პოზიციაზე საკრებულოს აპარატში 2022 წლის 9 მარტს ღია კონკურსის წესით დაინიშნა ნინო ურიდია, რომელიც აღნიშნულ პოზიციაზე დანიშვნის დღიდან წარმატებით მუშაობს, მისი მხრიდან არაერთი აქტივობა დაიგეგმა და განხორციელდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით. ამ ეტაპზე მას წარმოდგენილი აქვს 2023 წელს დაგეგმილი ღონისძიებების გეგმა, ადგილობრივი ბიუჯეტით გენდერის მიმართულებით გამოყოფილი თანხის შესაბამისად, რაც თავის მხრივ არაერთ აქტივობას მოიცავს წლის განმავლობაში. საკრებულოს აპარატის უფროსის წინადადებით სამართლებრივად მიზანშეწონილია კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, განხორციელდეს გენდერის საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის კატეგორიის ცვლილება, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის კატეგორიით. თანხმობის შემთხვევაში კატეგორიის ცვლილება დაკავშირებულია თანამდებობრივი სარგოს ცვლილებასთან, თუმცა ეს არ გამოიწვევს სახელფასო ფონდის ზრდას, რადგანაც სახელფასო ფონდში ამ ეტაპისთვისაც არსებობს ეკონომია, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის გამო. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილებას დაემატა ერთი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა, ხოლო საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 34-ე მუხლისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის 204 დადგენილების 25-ე მუხლის თანახმად, არსებული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად შიდა კონკურსის დასრულების შემდეგ, ხელახლა შეტანილ იქნება ცვლილება ზემო აღნიშნულ დადგენილებაში და გაუქმდება ამჟამად საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილებაში არსებული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: დ. ჭოჭუა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მიმდინარე წლის პირველი იანვრის მდგომარეობით გათვალისწინებული სახელფასო ფონდის გაზრდა არ შეიძლებოდა.

ლ. შამათავა - გამომსვლელმა განმარტა, რომ კატეგორიის ცვლილება არ იწვევდა სახელფასო ფონდის ზრდას, ხოლო არსებული შტატი გაუქმდებოდა კონკურსის დასრულების შემდეგ.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ნ. ურიდია ერთი წლის დანიშნული იყო კონკურსის წესით საკრებულოს აპარატში, ის წარმატებით ახორციელებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და მიზანშეწონილად მიაჩნია მისთვის კატეგორიის მომატება, რომელსაც ის ნამდვილად იმსახურებს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ქ. კვირიკაშვილი, მ. იოსავა, მ. ხუხია, თ. ქირია, ი. ჯიშკარიანი, ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N13 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების

მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონებში „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, 2023 წლის 1 აპრილიდან იზრდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საზედამხედველო ფუნქციები, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში როგორც სამართალდარღვევათა გამოვლენა, ასევე სახდელისა და საჯარიმო სანქციების შეფარდების, მათი ამოღება-აღსრულების უზრუნველყოფა. საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე აუცილებელი გახდა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულებაში კანონშესაბამისი ცვლილებების განხორციელება, რომლითაც როგორც ფართოვდება საზედამხედველო არეალი, ასევე მკაცრდება კონტროლის მექანიზმები, რაც თავის მხრივ გულისხმობს სამსახურის უფლებამოსილი პირების მიერ სამართალდარღვევის საქმისწარმოებას მათი აღმოფხვრა/გამოსწორების მიზნით. ცვლილებების პროექტების მომზადების პროცესში, ასევე გათვალისწინებულ იქნა მერიის სამსახურებს შორის უფლებამოსილებების გადანაწილების საკითხი და მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურიდან მშენებლობა დამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების ფუნქცია გადადის ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილებებში. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლითაც ცვლილებები ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულებებში. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ქ. კვირიკაშვილი, მ. იოსავა, მ. ხუხია, თ. ქირია, ი. ჯიშკარიანი, ი. ზაქარაია, ლ. ადანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N14 ოქმს თან ერთვის)

6. „მშენებლობის შეჩერების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „მშენებლობის შეჩერების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეს (ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს კანონში „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 2022 წლის 22 დეკემბერს განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმად, განისაზღვრა მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს ვალდებულება, რომ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, არანაკლებ თვეში ერთხელ

შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა. ამასთან, ამავე ცვლილებით მუნიციპალიტეტების საკრებულოებს დაევალათ 2023 წლის 1 აპრილამდე დაადგინონ „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 136-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული წესი. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ შემუშავდა დადგენილების პროექტი „მშენებლობის შეჩერების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“. პროექტის მიხედვით განისაზღვრება ხობის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ განხორციელების პროცედურული საკითხები, რომელთა მიზანია ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შეჩერებული მშენებლობების კონტროლის პროცესის გაუმჯობესება და კონტროლის მექანიზმების გამკაცრება, რათა სამომავლოდ თავიდან იქნას აცილებული შეჩერებული მშენებლობის გაგრძელების ფაქტები. პროექტის მიხედვით სამსახური ვალდებულია 2023 წლის 1 აპრილიდან მიღებული მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის მიზნით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა. შემოწმება, თავის მხრივ გულისხმობს სამსახურში დასაქმებული პირების მიერ, მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული შეჩერებული სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის აღმოფხვრა/გამოსწორების შემოწმებას. შემოწმების პროცესში კი აუცილებელია გადაღებულ იქნეს ობიექტის ფოტოსურათები, რომლებზეც მითითებულ უნდა იქნეს გადაღების თარიღი და შედგენილ იქნეს დათვალიერების ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს შეჩერებული სამუშაოების გაგრძელების ან სამართალდარღვევის გამოსწორება/აღმოფხვრის ფაქტი. ამასთან, პროექტის მიხედვით, თუ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეუსრულებლობას აქვს ადგილი, სამსახური იწყებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებას და ამზადებს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის პროექტს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც არ ათავისუფლებს სამსახურს ვალდებულებისაგან თვეში არანაკლებ ერთხელ შეამოწმოს შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულება. აღნიშნული პერიოდული შემოწმება გრძელდება შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მითითებული სამართალდარღვევის აღმოფხვრამდე. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ობიექტის გადამოწმებით დადგინდა, რომ აღმოფხვრილია მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებული სამშენებლო

სამუშაოების შეჩერების საფუძველი, სამსახური ამზადებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს „მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და სამსახურს აღარ აქვს ვალდებულება შეამოწმოს ხსენებული პერიოდულობით ობიექტი, გარდა იმ შემთხვევისა თუ ობიექტზე კვლავ არ გამოიცა სამშენებლო სამუშაოების შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. გამომსვლელის განცხადებით, კომისიამ განიხილა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი და მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ქ. კვირიკაშვილი, მ. იოსავა, მ. ხუხია, თ. ქირია, ი. ჯიშკარიანი, ი. ზაქარაია, ლ. ადანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N15 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს 28 თებერვლის სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ“, რომლის საკრებულოს სხდომაზე განხილვის პროცესში მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსისგან დაზუსტდა დადგენილების მე-3 მუხლში მე-4 პუნქტის ჩანაწერი, სადაც ზოგადად მითითებული იყო

მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლისგან განთავისუფლების შესახებ და პუნქტი ჩამოყალიბდა წარმოდგენილისგან განსხვავებით ახალი რედაქციით: „4. მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებულია სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობა," რაც დადგენილების საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გადაგზავნის მომენტისთვის არ იქნა ასახული პროგრამაში, რის გამოც კომისიის მიერ მომზადდა შესაბამისი ცვლილება ჩანაწერის დაზუსტების მიზნით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: თ. ქირია

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ქ. კვირიკაშვილი, მ. იოსავა, მ. ხუხია, ი. ზაქარაია, ლ. ადანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N16 ოქმს თან ერთვის)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N17 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 13682,5 ათასი ლარის და ასევე საგასავლო ნაწილში 13682,5 ათასი ლარის ოდენობით. 2022 წლის იანვარ-დეკემბრის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა შემოსულობების ნაწილში 22576,8 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 26479,2 ათასი ლარი. 10971,3 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტებია ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 22576.8 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 22470.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99.53%. საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 9079,3 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 1026,0 ათასი ლარი, გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან - 1465,5 ათასი ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 5803,8 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 784,0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 970,8 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 1465,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც ძირითადათ ჯარიმების, სანქციების და საურავების მოსაკრებელზე და დეპოზიტზე განთავსებული თანხის პროცენტით მიღებულ შემოსავლებზე მოდის. მათ შორის: პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 414,0 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (254,2 ათასი ლარი) შედარებით 159,8 ათასი ლარით მეტია. რენტის სახით მობილიზებულია 306.0 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 183.8 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 122.2 ათასი ლარი. საქონლისა და მომსახურების რეალიზაციდან მიღებულია 75,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (70,8 ათასი ლარი) 107,2%-ია. მათ შორის: ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 54,2 ათასი ლარი. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 45,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (32,8 ათასი ლარი) 137,2%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (32,6 ათასი ლარი) შედარებით 12,4 ათასი ლარით მეტია. მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 21,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (28.0 ათასი ლარი) 77,5%-ია. ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მიღებულმა

შემოსავლებმა მთლიანობაში 606,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (480,0 ათასი ლარი) 126,3%-ია და 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (597,1 ათასი ლარი) შედარებით 9,0 ათასი ლარით მეტია. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში მიღებულია 368,3 ათასი ლარის შემოსავალი, გეგმიური 560,7 ათასი ლარის ნაცვლად. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 55,5 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 312,8 ათასი ლარი. საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 60,1 ათასი ლარიდან გადარიცხულია 58,8 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ქ. კვირიკაშვილი, მ. იოსავა, მ. ხუხია, ი. ზაქარაია, ლ. ადანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N7 ოქმს თან ერთვის)

9. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის
უფროსი)

მოისმინეს: გ. ჩაბალუხა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხებისთვის, კონკრეტული პროექტებისთვის, ისევ თანხის დამატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მართებულად არ მიაჩნია, რადგანაც ასე თუ გაგრძელდებოდა, დაკარგავდა იმ ფუნქციას, რასაც სოფლის მხარდაჭერის პროგრამა ითვალისწინება სახელმწიფოს მხრიდან.

გ. ქაჯაია - გამომსვლელი დაინტერესდა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტებიდან 200,0 ათასი ლარის ღირებულების პროექტები რატომ ვერ შესრულდა და რით იყო ეს გამოწვეული?

რ. ზაქარაია - მერის პირველი მოადგილე - გამომსვლელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროექტების განხორციელებაში მონაწილეობა არ მიიღო არავინ.

გ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ სოფლებში მოეწყო გარე განათებები, მაგრამ ხშირ შემთხვევებში სოფლები ჩაბნელებული იყო, სხვადასხვა მიზეზების გამო, რაზედაც სოფლის მოსახლეობა გამოთქვამდა სამართლიან პრეტენზიას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიმართ.

რ. ზაქარაია - გამომსვლელმა განმარტა, რომ თითქმის ყველა სოფელში მოეწყო გარე განათებები და ერთი სპეცტექნიკით და არსებული პერსონალით ვერ ასწრებდნენ ყველა პრობლემის მოგვარებას. მისი განცხადებით ეტაპობრივად კი ყველა არსებული პრობლემა მოგვარდებოდა.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პრობლემა დროულად იყო მოსაგვარებელი და თუ სპეცტექნიკის შეძენა და პერსონალის დამატება იყო საჭირო, მერიის შესაბამისი სამსახურების მომზადდეს დასაბუთებული წინადადება და საკრებულო მხარს დაუჭერდა არსებული პრობლემის მოგვარებას.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეს (ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიის ორგანიზებით ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებების საერთო კრებები და მოსახლეობასთან კონსულტაციები, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საპროექტო წინადადებების შერჩევის მიზნით. ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის

ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის 11[2] პუნქტის შესაბამისად: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესაბამის წლებში კონკრეტული დასახლებისთვის გამოყოფილი თანხების აუთვისებლობის შემთხვევაში, ამავე დასახლებაში შესაბამის წელს პროექტის შერჩევა, თანხის გამოყოფა და თანადაფინანსება ხორციელდება ამ წესის შესაბამისად, ამ დასახლებისთვის მიმდინარე წელს გამოყოფილი და აუთვისებელი თანხების ჯამის ფარგლებში“. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიციირების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 16 იანვრის №ბ50.50230169 ბრძანებით, დასახლებებისთვის თანხის განაწილებისას გათვალისწინებულ იქნა 2022 წლის აუთვისებელი თანხები 6 სოფელზე. (გამოყოფილ თანხას - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისთვის ანაზღაურებული თანხა). პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოების განუხორციელებლობის გამო პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულიწყუსთვის - 15638 ლარი, სოფელ საკვიკვინიოსთვის - 15638, სოფელ ჭიხუსთვის - 11718 ლარი (ჯამში 42 994 ლარი), საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერის მოწყობის სამუშაოების განუხორციელებლობის გამო საგვიჩიოს ადმინისტრაციული ერთეულისთვის - 15634 ლარი; ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საქორქიოში შიდა სასოფლო გზის მოხრეშვის სამუშაოების განუხორციელებლობის გამო სოფელ საქორქიოსთვის - 9800 ლარი; თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დღვაბაში სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტის განუხორციელებლობის გამო სოფელ დღვაბისთვის-11726 ლარი. სულ ჯამში 80154 ლარი. ამასთან, პროექტების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, განისაზღვრა მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების თანხა 8 სოფელზე ჯამურად 118000 ლარის ოდენობით. დასახლების საერთო კრებაზე შერჩეული პროექტები დასამტკიცებლად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რისთვისაც მომზადდა განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების

დამტკიცების შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, კომისიამ განიხილა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ქ. კვირიკაშვილი, მ. იოსავა, მ. ხუხია, ი. ზაქარაია, ლ. ადანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N8 ოქმს თან ერთვის)

10. „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N2 საჯარო სკოლისთვის სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N2 საჯარო სკოლისთვის სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ის მიერ საკრებულოში წარმოდგენილ იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია სამეურვეო საბჭოს ინიციატივა სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N2 საჯარო სკოლისთვის სახელის შეცვლის შესახებ. „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულად დაყოფის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 აგვისტოს N13 დადგენილების თანახმად, ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის გაყოფის შედეგად შუა ქვალონი ჩამოყალიბდა ცალკე დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად. ზემო აღნიშნულის გამო სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სკოლის სახელწოდების ცვლილება და შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება: „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარი სკოლა". საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით

სახელდებასთან დაკავშირებული ინიციატივა, სამეურვეო საბჭოს მიერ წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ქ. კვირიკაშვილი, მ. იოსავა, მ. ხუხია, ი. ზაქარაია, ლ. ადანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N9 ოქმს თან ერთვის)

11. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ.ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და აღნიშნა, რომ პროექტში გაპარულია შეცდომა, კერძოდ ბიუჯეტით მერიის ზედამხედველობის სამსახურისთვის გათვალისწინებულია საწვავის ლიმიტი 300 ლიტრის ოდენობით, ხოლო წარმოდგენილ განკარგულებაში მითითებულია 200 ლიტრი და ითხოვა აღნიშნულის დაკორექტირება

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილების თანახმად, 2023 წლის 1 აპრილიდან ხორციელდება მერიის ზედამხედველობის სამსახურის ფუნქცია მოვალეობებისა და ვალდებულებების გაზრდა, რაც მოიცავს აღნიშნული სამსახურის სამართალგადაცდომათა გამოვლენის, სახდელის დადებისა და ამოღების პრევენციის დანერგვას და ა.შ., რის გამოც მიზანშეწონილად ჩაითვალა აღნიშნული სამსახურის საწვავით უზრუნველყოფის ნაწილში ცვლილების შეტანა და არსებული ლიმიტის 100 ლიტრით გაზრდა. ასევე, სამსახურებრივი დატვირთვისა და საკურატორო ობიექტების რიცხოვნობის გათვალისწინებით ცვლილებაა განსახორციელებელი მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის საწვავის ლიმიტში, რისთვისაც მიმდინარე ეტაპისთვის გამოყენებული იქნა მერთან არსებული, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შეჩერებული ლიმიტიდან 50 ლიტრი. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. წარმოდგენილი ცვლილებები არ იწვევს დამატებითი საბიუჯეტო სახსრების მოძიებას ვინაიდან დადგენილი ცვლილება გათვალისწინებულია 2023 წლის ბიუჯეტის შედგენისას. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა ზ. ბუკიას წარმოდგენილ წინადადებას განკარგულების პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ქ. კვირიკაშვილი, მ. იოსავა, მ. ხუხია, ი. ზაქარაია, ლ. ადანაია)

დაადგინეს: პროექტში შეტანილ იქნეს წარმოდგენილი ცვლილება

კენჭი ეყარა კორექტირებულ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ქ. კვირიკაშვილი, მ. იოსავა, მ. ხუხია, ი. ზაქარაია, ლ. ადანაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N10 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. ნუგზარ შუშანია
4. გოჩა ქაჯაია
5. ბექა მამაცაშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. მედეა თათარიშვილი
8. დოდო გაბუნია
9. ლევანი ლიპარტია
10. აკაკი მალანია
11. ია ჯიშკარიანი
12. აკაკი ხურცილავა
13. ბადრი რიჟამაძე
14. ლელა ადანაია
15. ბექა ხარბედია
16. გიორგი გვასალია
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. ვეფხვია ფოცხორაია
21. ჯანსუღი ჯიშკარიანი
22. მოგელი ხუხია
23. ფელიქსი წურწუმია
24. მაკა ჩარტია
25. ნინო ბოკუჩავა
26. მალხაზ იოსავა
27. ირაკლი ზაქარაია
28. ფრიდონი კუკავა
29. გურიელ ქარდავა
30. თამარი ქირია